2024 წლის 04 ივნისი ქალაქი ქუთაისი

განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის და მისი დღის წესრიგის განსაზღვრის თაობაზე

1. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომა 2024 წლის 12 ივნისს 11:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32, დარბაზი №4 შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საკონკურსო პროგრამის დამტკიცება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში არსებულ შემდეგი ვაკანტურ თანამდებობებების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის:

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტი - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტი - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის მანდატური - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

ბ) გამოცხადებული კონკურსისათვის (შემდგომში - ,,კონკურსი") საკონკურსო პირობების დამტკიცება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 მაისის N100 და 2023 წლის 20 თებერვლის N87 ბრძანებების შესაბამისად;

გ) კანდიდატების შეფასების წესის განსაზღვრა;

დ) კონკურსის შედეგების გამოცხადების წესის განსაზღვრა;

ე) კონკურსთან დაკავშირებით სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა;

ვ) კონკურსში მონაწილე კანდიდატების სარეგისტრაციო ბარათისა და შეფასების ფორმების დამტკიცება.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებამ განახორციელოს კომისიის წევრთა ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:

ქეთევან აწყურელი